ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ირაკლი კუჭავას

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება ,,მომავალი“-ს წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ” შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” შესაბამისად(წესდება თან ერთვის).

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54 – ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის გამგებელი უფლებამოსილია საკრებულოს თანხმობით კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ; სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნებაში მონაწილეობისა და მათში გაწევრების შესახებ. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ამოქმედების შემდეგ, აუცილებელი გახდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი ბექა შენგელია.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: *ირაკლი კუჭავა*

პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება ,,მომავალი“-ს წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54-ე მუხლის 1 პუნქტის ,,დ.ბ” ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება ,,მომავალი“-ს (ს/კ 242008812) წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და წესდება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (წესდება თან ერთვის).
2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა – ბექა შენგელიამ

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-საალმზრდელო დაწესებულება „მომავალი“-ს

წ ე ს დ ე ბ ა

ჩოხატაური

2015 წელი

დამტკიცებულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

გამგებლის 2015 წლის ----

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი“-ს

წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი“ არის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის□ საფუძველზე შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი“ შექმნილია და ფუნქციონირებს ჩოხატაურის №1 საბავშვო ბაღის, ჩოხატაურის №1 ბაგა-ბაღის, ჩოხატაურის №2 ბაგა-ბაღის, სოფლების - ხიდისთავის, ქვენობნის, ბუკნარის, ბასილეთის, ერკეთის, ბუკისციხის, იანეულის, ჯვარცხმის, კოხნარის, საჭამიასერისა, გოგოლესუბნისა და შუა ამაღლების.
3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი“ თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე.
4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალს“ აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებაში და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი“–ს იურიდიული მისამართია დ. ჩოხატაური, ნ. დუმბაძის ქ. №2.
6. საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულება □მომავალი□–ს ელ–ფოსტა: შშშ. მომავალი@მაილ.რუ
7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალის“ დამფუძნებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი.

მუხლი 2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი“–ს მიზანი, ფუნქციები და ამოცანები

1. სკოლამდელი საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალის□ მიზანია ბავშვთა ჰარმონიული განვითარება და სკოლისათვის მომზადება. მისი საქმიანობა ემყარება ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, ტოლერანტობის და ბავშვთა უფლებების დაცვის პრინციპებს.
2. სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და ესტეთიკური აღზრდა, ნებისყოფის ფორმირება, სხვისი აზრის პატივისცემის უნარ–ჩვევების ჩამოყალიბება, ბავშვის კეთილდღეობაზე ზრუნვა, ოჯახთან ურთიერთკავშირი.
3. სკოლამდელი საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულება აღსაზრდელებს უქმნის ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური სრულყოფის პირობებს.
4. სკოლამდელ საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალში“ სასწავლო–აღმზრდელობითი პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

მუხლი 3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი“ –ს სტრუქტურა

1. სკოლამდელი საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი“–ს სტრუქტურული ერთეულებია:

   ა) ჩოხატაურის №1 საბავშვო ბაღი;

   ბ) ჩოხატაურის №1 ბაგა–ბაღი;

   გ) ჩოხატაურის №2 ბაგა–ბაღი;

   დ) ხიდისთავის საბავშვო ბაღი;

   ე) ქვენობნის საბავშვო ბაღი;

   ვ) ბუკნარის საბავშვო ბაღი;

   ზ) ბასილეთის საბავშვო ბაღი;

   თ) ერკეთის საბავშვო ბაღი;

   ი) ბუკისციხის საბავშვო ბაღი;

   კ) იანეულის საბავშვო ბაღი;

ლ) კოხნარის საბავშვო ბაღი;

მ) ჯვარცხმის საბავშვო ბაღი;

ნ) საჭამიასერის საბავშვო ბაღი;

ო) გოგოლესუბნის საბავშვო ბაღი;

პ) შუა ამაღლების საბავშვო ბაღი;

2. საბავშვო ბაღები ახორციელებს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საგანმანათლებლო–სააღმზრდელო პროგრამებს სასკოლო ასაკის მიღწევამდე, ხოლო საბავშვო ბაგა–ბაღი ერთდროულად ასრულებს ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სააღმზრდელო–საგანმანათლებლო პროგრამებს.
3. სკოლამდელ საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულებებში (საბავშვო ბაღები და საბავშვო ბაგა–ბაღი) ჯგუფები კომპლექტდება ბავშვთა ასაკის მიხედვით:
4. ბაგაში:

   ა) ადრეული ასაკის ჯგუფი – 1–დან 2 წლამდე;

   ბ) უმცროსი ასაკის ჯგუფი – 2–დან 3 წლამდე;

5. საბავშვო ბაღში:

   ა) უმცროსი ასაკის ჯგუფი – 3–დან 4 წლამდე;

   ბ) საშუალო ასაკის ჯგუფი – 4–დან 5 წლამდე;

   გ) უფროსი ასაკის ჯგუფი – 5–დან 6 წლამდე.

6. აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია ჯგუფების დაკომპლექტება სხვადასხვა ასაკის ბავშვებით (შერეული ჯგუფი).
7. ჯგუფები კომპლექტდება შემდეგნაირად:
8. ბაგა:

   ა) ადრეული ასაკის ჯგუფი – 1–დან 2 წლამდე არაუმეტეს 15 აღსაზრდელისა;

   ბ) უმცროსი ასაკის ჯგუფი – 2–დან 3 წლამდე არაუმეტეს 25 აღსაზრდელისა.

9. საბავშვო ბაღი:

   ა) უმცროსი ასაკის ჯგუფი – 3–დან 4 წლამდე – არაუმეტეს 25 აღსაზრდელისა;

   ბ) საშუალო ასაკის ჯგუფი – 4–დან 5 წლამდე – არაუმეტეს 25 აღსაზრდელისა;

   გ) უფროსი ასაკის ჯგუფი – 5–დან 6 წლამდე – არაუმეტეს 25 აღსაზრდელისა;

   დ) შერეული ასაკის ასაკობრივი ჯგუფი – არაუმეტეს 25 აღსაზრდელისა.

მუხლი 4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალ□–ში აღსაზრდელის მიღების ზოგადი პირობები

1. სკოლამდელ საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულებაში მიიღებიან აღსაზრდელები, რომელთა ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა შეესაბამება დაწესებულებაში აღზრდა–განვითარებისათვის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.
2. დაწესებულებაში (საბავშვო ბაღებში, ბაგა–ბაღში) აღსაზრდელთა მიღებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით აუცილებელია შემდეგი საბუთების წარდგენა:

   ა) აღსაზრდელის მშობლის/მეურვის განცხადება;

   ბ) დაბადების მოწმობის ასლი;

   გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

3. სამუშაო დღის ხანგრძლივობა სკოლამდელ დაწესებულებებში შეიძლება იყოს 8 საათიანი.
4. სკოლამდელ საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულებებში მუშაობის რეჟიმი და ბავშვთა იქ ყოფნის ხანგრძლივობა განისაზღვრება შინაგანაწესით და მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
5. სკოლამდელ საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულებებში უზრუნველყოფილია ბალანსირებული კვება მუშაობის რეჟიმის გათვალისწინებით.

მუხლი 5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი“–ს მართვა

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო □ სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალს□ მართავს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის გამგებელი.
2. დაწესებულების დირექტორი:

ა) წარმართავს და ორგანიზებას უწევს საბავშვო ბაღების, ბაგა–ბაღის საერთო საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;

ბ) წარმოადგენს სკოლამდელ დაწესებულებას მესამე პირთან ურთიერთობებში;

გ) უფლებამოსილია დადოს გარიგებები;

დ) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს თანამშრომლებს და უზრუნველყოფს მათთან კანონის შესაბამისად შრომითი ხელშეკრულების დადებას.

ე) შეიმუშავებს და ამტკიცებს სკოლამდელი საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი“–ს შინაგანაწესს;

ვ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით ამტკიცებს

სკოლამდელი საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი“–ს საშტატო განრიგს და ხელფასის ფონდს.

ზ) განკარგავს თანხებს დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით;

თ) თავისი კომპენტეციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ–ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს, იღებს გადაწყვეტილებებს თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ. ასევე წყვეტს სკოლამდელ საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულებებში აღსაზრდელთა ჩარიცხვისა და გასვლის საკითხს.

ი) განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს;

კ) ამტკიცებს საბავშვო ბაღების და ბაგა–ბაღის სამუშაო გეგმებს და ყოველკვირეულ მენიუს;

3. პასუხისმგებელია:

ა) სკოლამდელი საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი“–ს საკუთრებაში არსებული ქონების და ფინანსების მიზნობრივ და სწორ ხარჯვაზე, მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლა–პატრონობასა და რაციონალურად გამოყენებაზე;

ბ) სკოლამდელი საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულების თანამშრომელთა და ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე;

გ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდებით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას;

მუხლი 6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი“–ს ქონება

სკოლამდელ საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალს“ თავისი მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად გააჩნია ქონება საქართველოს კანონმდებლობთ დადგენილი წესით.

მუხლი 7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალის“ დაფინანსება

1. სკოლამდელი საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი“–ს საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება:

ა) ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) დონორი;

გ)შემოწირულობები, გრანტები და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სახსრები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი□-ს მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას. აღნიშნული სახსრების სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

3. სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება და შეადგინოს ბალანსი.

4. სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი“-ს ბალანსს ამოწმებს გამგებელი მოწვეული აუდიტორის მეშვეობით.

მუხლი 8. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალს“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობით შეუძლია განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ)სკოლამდელი დაწესებულების ქონებასთან დაკავშირებით სხვა გადაწყვეტილებები, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 9. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი“-ს კონტროლი

1. სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალის“ კონტროლი გულისხმობს დაწესებულების მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტურობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.
2. სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალის“ კონტროლს ახორციელებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი.
3. სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი□ ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის გამგებლის წინაშე.
4. სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი□ კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილია გაასაჩივროს მაკონტროლებელი ორგანოს უკანონო მოქმედება.

მუხლი 10. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი“ –ს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. სკოლამდელი საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი“–ს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია კანონმდებლობით გთვალისწინებულ შემთვევებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებით საკრებულოს თანხმობით.

2.სკოლამდელი საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალის“ ლიკვიდაციის შემთხვევაში მის ბალანსზე არსებული ქონება გადადის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

მუხლი 11. დასკვნითი დებულება

ამ წესდებაში ცვლილების და დამატების შეტანა ხდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დასკვნა

განკარგულების პროექტის თაობაზე

,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება ,,მომავალი"-ს წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54 – ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ბ" ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის გამგებლი საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ.

პროექტი ასევე შეესაბამება ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების უფროსი : *ბექა შენგელია*